საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3159
18/07/2025

3159-01-2-202507181127

თაია ჭყონიას

მის.: ქ. თბილისი

ტელ.:

ელ. ფოსტა:

ქალბატონო თაია,

თქვენი 2025 წლის 10 ივლისის N01/4113 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (ამჟამად, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომ – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მე-2 მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართი და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაცია). თქვენს 2025 წლის 10 ივლისის N01/4113 განცხადებაში არ არის წარმოდგენილი მოვაჭრის საიდენტიფიკაციო ნომერი, დასახელება და მისამართი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა,** წარმოადგინოთ ზემოთ მითითებული ინფორმაცია. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge

ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე